

წუგეუბა ბაგნიძე

**ცხოვრება ორ სამყაროში
ბრიგოლ რობაქიძე**

 ანტანუა

უცნობი გრიგოლ როგაძიძე

პროექტის ავტორი ზვიად კვარაცხელია

რედაქტორი

ფილოლოგიის დოქტორი ადა ნემსაძე

რეცენზენტი

ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ირინე შიშინაშვილი

გამომცემლობის რედაქტორი

ნატო გორდელაძე

დამკაზადონებელი

ვიოლა ტულუში

გარეკანის დიზაინერი

თეონა ჭანიშვილი

ISBN 978-9941-494-86-4

© ნუგეშა გაგნიძე, 2021

© გამომცემლობა „არტანუჯი“, 2021

თბილისი

ვუძღვნი
დედას – ნელი გვენეტაძეს

სარჩევი

წინასიტყვაობა	7
ბავშვობა – მოსწავლეობის წლები – სტუდენტობა	13
• ბავშვობა და მოსწავლეობის წლები	15
• სტუდენტობის წლები	25
• დიდი გზის დასაწყისი	35
ემიგრაცია გერმანიაში	51
ემიგრაცია შვეიცარიაში	101
• რობაქიძის გულნადები	102
• მეორე ემიგრაცია	
• უკანასკნელი სიყვარული და გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებითი მემკვიდრეობის უცნაური ბედი	131
ქართული და გერმანული გველის პერანგი	147
• გრიგოლ რობაქიძის გერმანულენოვანი გველის პერანგის წინასიტყვაობა	148
• გველის პერანგის ქართული და გერმანული ვერსიების მხატვრული და სტილურ-კომპოზიციური თავისებურებები	164
ბრიგოლ რობაქიძის პუბლიცისტიკა	189
ბრიგოლ რობაქიძის თეატრი როგორც „კრებითი მოვლენა“	219

უსასრულო ნიცხე რობაქიძესთან	241
ბრიგოლ რობაქიძის ლიტერატურული ზღაპარი „ორი ძმა“	273
• გრიგოლ რობაქიძე, „ორი ძმა“	274
• სპარსული მინიატურები გრიგოლ რობაქიძის ზღაპრისათვის „ორი ძმა“	287
ბელადები ბრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში	291
• ლენინი	293
• სტალინი	299
• ჰიტლერი	316
• მუსოლინი	338
ბრიგოლ რობაქიძის ლირიკა	347
გამოყენებული ლიტერატურა	
• ნაწარმოებები	387
• სამეცნიერო ლიტერატურა	409
საძიებლები	
• პირთა სახელები	433
• გეოგრაფიული სახელები	422
ავტორის შესახებ	445

წინასიტყვაობა

გრიგოლ რობაქიძის შემოქმედება ჩემი მოსწავლეობის პერიოდში აკრძალული ლიტერატურა იყო. მისი *ლონდა* და *ლამარა* მე-20 საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში ეროვნულ მოძრაობაში ჩართული ერთი მეგობრის მიერ ხელით გადაწერილი წავიკითხე. იმხანად ვიცოდით და ამალელებული პათეტიკით ვკითხულობდით რობაქიძის ლექსებსაც: „სირენას სიმღერა“ და „ვერის ხიდზე“. გვიტაცებდა და გვზიზღავდა „ცისფერყანწელთა“ და მათი მანესტროს ბოჭემური ცხოვრების ბურუსით მოცული ამბები ქუთაისში. მას შემდეგ ჩემს ქვეცნობიერში დიდხანს თვლემდა ორ მსოფლიო ომგამოვლილი, სოციალისტურ დიქტატურას თავდაღწეული და ნაციონალ-სოციალიზმის კლანჭებში გახლართული, გოეთესა და ნიცშეზე შეყვარებული და საკუთარ ფესვებს არმონყვეტილი მწერალი, როგორც ნაცნობი უცნობი.

გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, საბჭოთა კავშირის ნგრევის პერიოდში, როცა გრიგოლ რობაქიძის რეაბილიტაცია დაიწყო, შესაძლებლობა მომეცა, უკეთ გამეცნო იგი. ხოლო 2004 წელს იტალიაში, ქალაქ მაჩერატაში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე „საზღვრები და სასაზღვრო სივრცეები გერმანულ ენასა და ლიტერატურაში“ პირველი სამეცნიერო მოხსენება წავიკითხე, რომელშიც შევეცადე, მეჩვენებინა რობაქიძისეული მარადიული დაბრუნების იდეის არსი. მას შემდეგ დაიწყო ჩემი ხანგრძლივი ძიებები მწერლის

სამყაროში. 2009 წელს გერმანიის აკადემიურმა სამსახურმა სამთვნიანი სამეცნიერო-საკვლევ სტიპენდია მომცა რობაქიდის შემოქმედების კვლევისათვის. ცხადია, პერიოდულად ვაქვეყნებდი სტატიებს და ვკითხულობდი მოხსენებებს ქართულ და გერმანულ ენებზე საქართველოში და საზღვარგარეთ (აღნიშნული სამეცნიერო პუბლიკაციების ჩამონათვალს იხილავთ ჩვენი ნაშრომის ბოლოს წარმოდგენილ გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურის ნუსხაში).

კვლევამ დროთა განმავლობაში დიდი მასშტაბები შეიძინა და 2011 წელს გერმანიაში, ჩემს მეგობართან და კოლეგასთან – მარგრეტ შუხარდთან ერთად გამოვეცი მონოგრაფია *Grigol Robakidse (1880-1962). Ein georgischer Dichter zwischen zwei Sprachen und Kulturen* (გრიგოლ რობაქიძე (1860-1962). ქართველი მწერალი ორ ენასა და კულტურას შორის). ნაშრომს დავურთეთ გრიგოლ რობაქიდის უცნობი ნაწარმოებები, რომელთაც დიდხანს ვეძებდით სხვადასხვა ქვეყნის არქივებსა და სამეცნიერო ცენტრებში (მონოგრაფიას ერთვის ეს ბიბლიოგრაფიაც). რომ არა მარგრეტ შუხარდის დიდი ავტორიტეტი და პირადი კონტაქტები, წარმოუდგენელი იქნებოდა მასალების მოპოვება ჰანს ქრისტოფ ბინსვანგერისა და თომას ჰოიზერმანის პირადი არქივებიდან. უდიდესი მადლიერებით მინდა აღვნიშნო თითოეული მათგანის დამსახურება საქართველოსა და ქართველი ხალხის წინაშე.

მარგრეტ შუხარდისა და ჩემმა კვლევამ, ძიებებმა და ცხარე დისკუსიამ ორი წლის განმავლობაში ის შედეგი გამოიღო, რომ ჩვენ შევძელით, მიგვეჩინა გრიგოლ რობაქიდისთვის კუთვნილი დამსახურებული ადგილი ლიტერატურის ისტორიაში. ჩვენი ერთობლივი ნაშრომი, ცხადია, განკუთვნილია გერმანულენოვანი მკითხველისათვის, რომლის რაოდენობაც საკმაოდ დიდია, ამდენად, გერმანულად აღნიშნული მონოგრაფიის გამოცემას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

ჩვენ შევეცადეთ, გაგვეთავისუფლებინა რობაქიძე იმ ეჭვებისგან, რომლებიც გერმანელ მკითხველს (მათი რიცხვი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უკიდურესად შემცირდა) მის მიმართ უჩნდებოდა ჰიტლერისა და მუსოლინისადმი მიძღვნილი ესეების წაკითხვის ან, უბრალოდ, მათი სათაურების გაგონებისას. უნიკალურ მასალაზე და პირველწყაროებზე დაყრდნობით მონოგრაფიაში წარმოვადგინეთ მწერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი და ნაკლებად ცნობილი დეტალები; გამომცემლობებთან, მთარგმნელებთან და ევროპელ მეგობრებთან ურთიერთობის უცნობი ფაქტები და სხვ. მაგრამ მასალა, რომელიც მე ხელთ მქონდა, კიდევ უფრო მეტის შესაძლებლობას იძლეოდა. გარდა ამისა, მიგვაჩნია, რომ ქართულ ენაზეც აუცილებლად უნდა არსებობდეს მონოგრაფია, რომელშიც ბევრი უცნობი ტექსტი იქნება დამუშავებული და ახლებურად ინტერპრეტირებული. ჩემი მეგობრები, კოლეგები და მწერლის თაყვანისმცემლები დიდი ხანია ელოდებიან ამ წიგნს: რას ვიტყვით ჩვენ ახალს? როგორ ვიტყვით სათქმელს?

გრიგოლ რობაქიძე, როგორც მოდერნიზმის შემომტანი საქართველოში, პირველი ქართველი მწერალია, რომელმაც ევროპელებს თავიდან აღმოაჩენინა ეგზოტიკური ქვეყანა საქართველო – ამ თემებზე დღეს აღარავინ დავობს. მაგრამ კვლავ ჩნდება შეკითხვები სოციალიზმის ბელადების, ნაციონალ-სოციალისტური და ფაშისტური იდეოლოგიების ფიურერების პორტრეტების შემქმნელი ავტორისადმი; მისი ცხოვრებისეული ფაქტებისადმი გერმანიასა და შვეიცარიაში; არ ნელდება ინტერესი რობაქიძის მემკვიდრეობისა და პირადი არქივისადმი. ამავდროულად, არ დასრულებულა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მიმოფანტული მისი ნაწარმოებებისა და ბიოგრაფიული დოკუმენტების მოძიება. ეს და სხვა მრავალი საკითხია შესწავლილი და გაშუქებული ჩვენს ნაშრომში.

გვსურს, დავადგინოთ არსებითად მნიშვნელოვანი ფაქტები რობაქიძის ცხოვრებიდან; მკითხველსა და მკვლევრებს შევთავაზოთ მწერლის ლიტერატურულ-ესთეტიკური პრინციპების არსი და მათი მხატვრული განსხვავების სპეციფიკა მის ლირიკაში, პიესებსა და პროზაში. ასევე, გვინდა, ვუჩვენოთ რობაქიძე – პუბლიცისტი და ავტორი, რომელსაც შეეძლო სამ ენაზე (ქართულად, რუსულად და გერმანულად) დაენერა საგაზეთო სტატიები, ესეები და მხატვრული ნაწარმოებები. ჩვენს მიზანს წარმოადგენს, ამავდროულად, მის ნაწარმოებთა ქართული და გერმანული ვერსიების შედარება, ცხადია, იმის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთი ტექსტის ორიგინალი საერთოდ არ გაგვაჩნია.

ამდენად, ქართულ ენაზე შექმნილი მონოგრაფია გერმანულენოვანი ნაშრომისაგან არსებითად განსხვავდება სტრუქტურულ-შინაარსობრივი თვალსაზრისითა და მოცულობით. ნიგნზე მუშაობის პროცესში ძალისხმევა არ დაგვიკლია და დრო არ დაგვიშურებია, შეგვექმნა გრიგოლ რობაქიძის პორტრეტი, რომელშიც რეალობა სჭარბობს გამოგონილს. ეს უკანასკნელი კი მრავლადაა ამ მეტად წინააღმდეგობრივი ავტორის ირგვლივ. ნაშრომს თან ერთვის ლიტერატურის ჩამონათვალი, რომელშიც, ასევე, შევეცადეთ, ჩვენ მიერ მოძიებული მასალები სრულყოფილად წარმოგვედგინა. უშუალოდ მხატვრული ტექსტების კვლევისას კი გამოვიყენეთ კომპარატივისტული, ნარატოლოგიისა და ჰერმენევტიკული მეთოდები.

ნაშრომი განკუთვნილია ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტების, მაგისტრებისა და დოქტორანტებისათვის, მეცნიერ-მკვლევართათვის, ლიტერატურითა და, განსაკუთრებით, ქართულ-გერმანული ლიტერატურული ურთიერთობებით დაინტერესებული სპეციალისტებისა და უბრალოდ ლიტერატურის მოყვარული მკითხველისთვის.

ჩვენი სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობისათვის მადლობას ვუხდით გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურს (DAAD) და ჩემს მშობლიურ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს!

მადლობა მინდა ვუთხრა წიგნის რედაქტორს ადა ნემსაძესა და რეცენზენტს ირინე შიშინაშვილს, რომელთა კომპეტენტურ მოსაზრებებს ჩემთვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა.

ნუგეზა გაბნიძე

მაისი, 2020 წელი

ბავშვობა – მოსწავლეობის წლები – სტუდენტობა

მწერლის მოვალეობა ყოველთვის რთულია. განსაკუთრებით რთულია იგი ჩვენს ისტორიულ ეპოქაში... [რადგან] მწერლობა არა მხოლოდ ნიჭია, არამედ ღრმად მორალური საქმეა.

გრიგოლ რობაქიძე, „ჩემი ბიოგრაფია“, 1933.

გრიგოლ რობაქიძე ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მწერლის ვალი არ არის მხოლოდ მშვენიერი ნაწარმოებების შექმნა, რომ მას უდიდესი მორალური მისია აკისრია ერისა და ქვეყნის წინაშე. მწერლობას, როგორც „ღრმად მორალურ“ საქმეს, იგი განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ეკიდებოდა სამშობლოში ცხოვრების პერიოდში თუ ემიგრაციისას. ცხოვრების იმ ურთულესი გზის გამო, რომელიც მან გაიარა სვირიდან ლევილამდე, დღემდე არსებობს უცნობი ეპიზოდები რობაქიძის ბიოგრაფიიდან. ახლად აღმოჩენილი თუ გერმანულიდან ქართულად თარგმნილი ნაწარმოებები მკვლევრებს მისი ნაშრომების ახლებური ინტერპრეტაციის საშუალებას აძლევს, ხოლო მკითხველს მწერლის პიროვნებისა და შემოქმედების უკეთ გაცნობის შესაძლებლობას სთავაზობს.

გრიგოლ რობაქაძე – თვითმხილველი, მომსწრე და განმცდელი დიდი ეპოქალური მოვლენებისა და კატაკლიზმებისა – დაიბადა და იზრდებოდა რუსეთის ცარიზმის ეპოქაში; ყმანვილკაცობა სოციალისტურ საქართველოში გაატარა;

30-იან წლებში, ცხოვრებასა და სამშობლოს ბედ-იღბალზე ღრმად დაფიქრებული, გერმანიის გზას დაადგა; ნაციონალ-სოციალიზმის ეპოქამ იგი მიძიმე გამოცდის წინაშე დააყენა; მე-2 მსოფლიო ომის შემდეგ უსამშობლო მწერალმა შვეიცარიას შეაფარა თავი და საუკუნო განსასვენებელი საფრანგეთში პოვა. ბიოგრაფიის ეს მოკლე მონახაზი უსაზღვრო ინტერესს აჩენს მწერლის პიროვნებისადმი და მრავალ შეკითხვას ბადებს მის შემოქმედებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, წინააღმდეგობრივი, საკამათო და დიდი განსჯის საგანია როგორც რობაქიძის ბიოგრაფია, ასევე შემოქმედებაც. ემიგრაციამდე საქართველოში იგი უკვე აღიარებული მწერალი იყო; სამშობლოდან გაქცეულმა სიყვარული და აღიარება გერმანიაში პოვა; მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მისი სახელი ტაბუდადებული აღმოჩნდა როგორც გერმანულენოვან სამყაროში, ასევე საბჭოთა კავშირში – „სოციალიზმისა და სამშობლოს მტერი“ მიუღებელი იყო ნაომარ ევროპაში ჰიტლერი-სა და მუსოლინისადმი მიძღვნილი ესეების გამო.

გრიგოლ რობაქიძის რეაბილიტაცია საქართველოში გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან იწყება. ეროვნული მოძრაობის აღმავლობის პერიოდში იგი არის ავტორი, რომელიც ტოტალიტარული რეჟიმისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლაში საუკეთესო იმპულსებს იძლევა. შეიძლება ითქვას, რომ 1980 წლიდან იწყება მწერლის ხელახალი აღმოჩენა. რადგან იმ პერიოდში მისი ნაწარმოებების დაბეჭდილი ვერსიის მოძიება თითქმის შეუძლებელია, ეროვნული სულისკვეთებით ანთებული ახალგაზრდები მათ ხელნაწერების სახით ავრცელებენ, ზეანეული პათოსით წარმოთქვამენ რობაქიძის ლექსებს და ეამაყებათ თანამემამულე, რომელმაც გერმანულენოვანი სამყარო გააოცა თავისი შემოქმედებით. რა თქმა უნდა, ბევრი რამ, ისევე როგორც ბიოგრაფიული ცნობები, შემოქმედების სხვადასხვა ასპექტიც, ბურუსითაა მოცული და დღემდე

ლეგენდის დონეზე რჩება. ეს გამოწვეულია როგორც თავად მწერლის სუბიექტური მოსაზრებებით, ასევე ობიექტური ფაქტებით და იმ უმძიმესი რეალობით, რომელში ცხოვრებაც მას უხდებოდა. ერთი რამ კი უდავოა – გრიგოლ რობაქიძე ქართველთათვის მე-20 საუკუნის უსაყვარლესი ავტორთაგანია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იოლი არ არის ამ წინააღმდეგობრივი ავტორის შემოქმედების საფუძვლიანად კვლევა და მისი ობიექტურად შეფასება. ეს რომ მოვახერხოთ, აუცილებელია, უპირველესად, დავაზუსტოთ ბიოგრაფიული ცნობები, რომლებიც ზოგჯერ არსებითად განსხვავებულია სხვადასხვა მკვლევართან და თვით რობაქიძის ნაწერებშიც კი. საუბარია მწერლის დაბადების თარიღზე, ოჯახურ გარემოზე, სწავლა-განათლებაზე საქართველოში, რუსეთსა და ევროპაში. ასევე, მის მოღვაწეობაზე საქართველოში, გერმანიასა და შვეიცარიაში.

ბავშვობა და მოსწავლეობის წლები

ლიტერატურული წყაროები თუ სამეცნიერო ნაშრომები, სასკოლო თუ საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები განსხვავებულ ინფორმაციას გვანვდის გრიგოლ რობაქიძის დაბადების დროისა და ადგილის შესახებ. ზოგი ვერსიით იგი დაიბადა 1880 წლის ოქტომბერში, ზოგიერთი მკვლევარი მის დაბადების თარიღად 1881, 1882 ან 1884 წელს მიიჩნევს.

1880 წლის 1 ნოემბერს, როგორც გრიგოლ რობაქიძის დაბადების თარიღს, ვხვდებით ტარტუსა და ლაიფციგის უნივერსიტეტების საარქივო მასალებში. სანდრო ფანჩულიძე მიუთითებს, რომ იგი 1881 წლის ოქტომბერში სოფელ ობ-